დოკუმენტის კოდი: EEU-POL- MS-05
ვერსია: 1.0
დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს
2024 წლის 25 სექტემბრის დადგენილება N06

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თანამედროვე მონობის პოლიტიკა
(Modern Slavery Policy)

I. მიზანი

1. წინამდებარე პოლიტიკის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში თანამედროვე მონობის, იძულებითი შრომის, ადამიანით ვაჭრობისა და შრომითი ექსპლუატაციის ყველა ფორმის პრევენცია, გამოვლენა და აღმოფხვრა, რისკზე დაფუძნებული სათანადო შემოწმების მიდგომის ფარგლებში.
2. პოლიტიკა ადასტურებს უნივერსიტეტის ვალდებულებას:
   - ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დაცვის მიმართ;
   - ეთიკური და პასუხისმგებლიანი მმართველობის მიმართ;
   - გამჭვირვალე და მდგრადი ოპერაციების უზრუნველყოფის მიმართ.

II. მოქმედების სფერო

1. პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის:
   - აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალზე;
   - სტუდენტებზე — იმ ნაწილში, სადაც ისინი ჩართულნი არიან სამუშაო, პრაქტიკის ან დასაქმების მსგავს ურთიერთობებში;
   - კონტრაქტორებზე, საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებზე;
   - დონორებსა და პარტნიორებზე - უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში.
2. პოლიტიკა ვრცელდება:
   - უნივერსიტეტის შიდა ოპერაციებზე;
   - მიწოდების ჯაჭვზე;
   - ყველა სახელშეკრულებო და არაფორმალურ ურთიერთობაზე, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის საქმიანობას.

III. სამართლებრივი საფუძველი

პოლიტიკა ეფუძნება:

- ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო პრინციპებს;

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტურ კონვენციებს;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და ESG სტანდარტებს;
- მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესდებასა და შიდა მარეგულირებელ აქტებს.

IV. ძირითადი ცნებები

1. **თანამედროვე მონობა** – იძულებითი შრომა, მონობა, მომსახურების გაწევის იძულება, ადამიანით ვაჭრობა ან შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმები.
2. **იძულებითი შრომა** – ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც პირისგან მოითხოვება მუქარის, ძალადობის ან იძულების პირობებში, პირის თავისუფალი თანხმობის გარეშე..
3. **ადამიანით ვაჭრობა** – ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე სხვადასხვა ხერხებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.
4. **მიწოდების ჯაჭვი** – უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიწოდების მთელი პროცესი.

V. ძირითადი პრინციპები

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- ნულოვანი ტოლერანტობა თანამედროვე მონობის მიმართ;
- ადამიანის ღირსების პატივისცემა;
- პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- პასუხისმგებლიანი პარტნიორობა.

VI. პრევენციული ღონისძიებები

1. უნივერსიტეტი იღებს ზომებს:
   - თანამედროვე მონობის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით;
   - მომწოდებლებისა და კონტრაქტორების შერჩევისას ეთიკური კრიტერიუმების გამოყენებით;
   - ხელშეკრულებებში ადამიანის უფლებების დაცვის დებულებების ჩართვით.
2. მაღალი რისკის სფეროებში უნივერსიტეტი უფლებამოსილია:
   - მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია;
   - შეწყვიტოს თანამშრომლობა დარღვევის დასაბუთებული ეჭვის ან დადასტურების შემთხვევაში.

VII. მიწოდების ჯაჭვის მართვა

1. მომწოდებლები და კონტრაქტორები ვალდებულნი არიან:
   - დაიცვან შრომითი უფლებები და კანონმდებლობა;
   - არ გამოიყენონ იძულებითი ან ექსპლუატაციური შრომა;
   - ითანამშრომლონ მონიტორინგისა და აუდიტის პროცესში.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს:
   - თვითშეფასების მოთხოვნა;
   - რისკზე დაფუძნებული შემოწმება;
   - კონტრაქტის შეწყვეტა დარღვევის შემთხვევაში.

VIII. ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას თანამედროვე მონობის რისკების შესახებ.
2. საჭიროების შემთხვევაში ტარდება:
   - ტრენინგები შესაბამისი პერსონალისთვის;
   - საინფორმაციო აქტივობები სტუდენტებისა და პარტნიორებისთვის.

IX. შეტყობინება და დაცვა

1. ნებისმიერ პირს უფლება აქვს კეთილსინდისიერად და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში აცნობოს თანამედროვე მონობის შესაძლო შემთხვევის შესახებ.
2. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს:
   - უშუალო ხელმძღვანელთან;
   - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
   - უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კონფიდენციალური არხით.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
   - კონფიდენციალურობას;
   - შურისძიებისგან დაცვას.

X. რეაგირება და გამოსწორება

1. შესაძლო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტი:
   - ახორციელებს ფაქტების მოკვლევას;
   - იღებს დაუყოვნებელ ზომებს ზიანის შესამცირებლად;
   - საჭიროების შემთხვევაში წყვეტს თანამშრომლობას.
2. რეაგირება ხორციელდება ისე, რომ იყოს:
   - დროული;
   - პროპორციული;
   - ეთიკური და სამართლებრივად გამართული.

XI. მონიტორინგი და ანგარიშგება

1. პოლიტიკის განხორციელებას მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. აგრეგირებული ინფორმაცია შეიძლება აისახოს:
    - შიდა ხარისხის ანგარიშებში;
    - მდგრადი განვითარების ანგარიშებში;
    - ინსტიტუციური თვითშეფასების დოკუმენტებში.

XII. დარღვევები და სანქციები

1. პოლიტიკის დარღვევა იწვევს რეაგირებას მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა წესების შესაბამისად.
2. სანქციები უნდა იყოს:
    - სამართლიანი;
    - პროპორციული;
    - გამჭვირვალე.

XIII. პოლიტიკის რევიზია

1. პოლიტიკა ექვემდებარება გადახედვას პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ.
2. ცვლილებები მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.
3. განახლებული ვერსია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

XIV. ძალაში შესვლა

1. წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.